



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 69

ქ.ბათუმი

20/08/2018

69-06-4-201808201353



**მინდია დიდმანიძის -ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის  
დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის  
კუთვნილ შვებულებაში გასვლის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 21-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 61-ე მუხლის მეხამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის 16 აგვისტოს №177-06 განცხადების საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. **მინდია დიდმანიძეს** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს მიეცეს მიმდინარე წლის კუთვნილი შვებულება 9 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, 2018 წლის 20 აგვისტოდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.
2. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს იმავე კომისიის წევრს მალხაზ ბალაძეს 2018 წლის 20 აგვისტოდან 2018 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს საკრებულოს მეორად სტრუქტურულ ერთეულს - საქმისწარმოების განყოფილებას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე